*პროექტი*

**საქართველოს კანონი**

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლელებები და დამატებები:

1. $64^1$ მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

,,2. იგივე ქმედება, ჩადენილი ზურმუხტის ტერიტორიიის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის და გეოპარკების დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მიმართ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღისა და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით.“

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $66^2$ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,, მუხლი $66^2$ . „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის“ პირობების დარღვევა**

1. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის“ პირობების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.“

შენიშვნა:

1. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის“ პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.

2. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების ამ შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ლიცენზიის გამცემის მიერ განმეორებით დადგენილ ვადაში სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $66^4$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის“ პირობების დარღვევა

,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის“ პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს $66^5$ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი $66^5$. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა**

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.

2. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების ამ შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ლიცენზიის გამცემის მიერ განმეორებით დადგენილ ვადაში სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს $66^6$ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი $66^6$. საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვაის პირობების დარღვევა**

საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის წესების ან ნებართვის პირობების დარღვევა -

გამოწვევეს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.“

6. 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. იგივე ქმედება, ჩადენილი დაცულ და მკაცრად დაცულ გარეულ ცხოველთა სახეობების მიმართ ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში,

– გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას სამას ლარამდე.“

7. $85^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი $85^2$ . გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების,) გარემოდან გარეულ ცხოველთა დაცული და მკაცრად დაცული სახეობათა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა**

გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების) გარემოდან გარეულ დაცული და მკაცრად დაცული ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა,

– გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე.“

8. $85^3$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**$85^3$ . დაცულ და მკაცრად დაცულ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი ბუდეებისა და კვერცხის, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება**

დაცულ და მკაცრად დაცულ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი ბუდეებისა და კვერცხის განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება, ან ტყვეობაში გამრავლებული, ხელვნურად მოშენებული მაკცრად დაცული და დაცული

სახეობების მარკირების წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით.

9. 86 მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

86-ე მუხლის მე-9 ნაწილი

,,9. ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი, ფეთქებადი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით თევზჭერა, აგრეთვე დაცული და მკაცრად დაცული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

კანონპროექტის შემუშავების მიზანია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთნ შესაბამისობაში მოყვანა.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული საკანონმდებლო აქტების ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებით, რომელიც ადგენს საკანონმდებლო ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი აღნიშნულ კანონთან.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტი შემუშავება ემსახურება ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას, რომლის მიზანია შექმნას ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მყარი სამართლებრივი საფუძვლები, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად სახეობებისა და ჰაბიატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობების დადგენის ვალდებულებას აღნიშნული კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით,

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის მთელი რიგი ცვლილებები:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $64^1$ მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ადმინისტრაციულ სახდელს სამართალდარღვევებისათვის, რომელიც ჩადენილია ზურმუხტის ტერიტორიიის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მიმართ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $66^2$ მუხლი აწესრიგებს „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის“ პირობების დარღვევის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენის პირობებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $66^4$ მუხლი შეეხება ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის“ პირობების დარღვევის შემთხვევას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება $66^5$ მუხლი, რომელიც აწესრიგებს ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შემთხვევას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $66^6$ მუხლი ადგენს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვაის პირობების დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ სამართალდარღვევისათვის, რომელიც ჩადენილია დაცულ და მკაცრად დაცულ გარეულ ცხოველთა სახეობების მიმართ ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის,

ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $85^2$ მუხლი აწესრიგებს გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების,) გარემოდან გარეულ ცხოველთა დაცული და მკაცრად დაცული სახეობათა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევის შემთხვევას, ხოლო $85^3$ მუხლი ისეთ სამართალდარღვევას, რაც გულისხმობს დაცულ და მკაცრად დაცულ გარეულ ცხოველთა მოსპობას ან მათი ბუდეებისა და კვერცხის, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვებას მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვას ან დატყვევებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86 მუხლის მე-9 ნაწილის შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობა დგება ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი, ფეთქებადი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით თევზჭერისას, აგრეთვე დაცული და მკაცრად დაცული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვებისას.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონი ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

არ ითხოვს

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება  გავლენას არ მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს მთავრობა